ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მევლუდ ხათაშვილს

მოქალაქე ივ. მარინაშვილის
მცხ. ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი 63, ბ. 23
ტელეფონი 5 91 157 540

11.09.23
14:35
4988

ბატონო მევლუდ,

მსურს მადლიერება გამოვხატო ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის **ირმა გოგალაძის**, მისი თანაშემწის **ირმა ელიაშვილის** და ქარელის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლის **მარიამ ონიაშვილის** მიმართ.

ყველაზე მეტად რაც იწვევს ჩემ გაოცებას და მადლიერებას ეს არის საქმის დროული გადაწყვეტა. მოსამართლე ირმა გოგოლაძემ ძალიან ოპერატიულად შეუდგა საქმის განხილვას. გაოცებული ვარ, რომ სასამართლოში საქმის განხილვას 3 თვეც კი არ დასჭირდა მაშინ როდესაც მოსამართლე ირმა გოგალაძეს ქარელის რაიონული სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილების ხარვეზების/შეცდომების/უზუსტობების აღმოსაფხვრელად მოუწია სამი განჩინების გამოტანა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ გამოტანილი 11 გვერდიანი განჩინება, სადაც მოსამართლე ამომწურავად და დასაბუთებულად საუბრობს ყველა ბუნდოვან საკითხზე. ჩემ საქმეზე ჯამში გამოტანილია 3 გადაწყვეტილება (ქარელის რაიონული სასამართლოს, ახალციხის რაიონული სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს) და 9 განჩინება (ქარელის რაიონული სასამართლოს, ბორჯომის რაიონული სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს) თუმცა არც ერთ მათგანში საკითხები ამომწურავად კი არა პირიქით შეცდომებით და უზუსტობებით არის სავსე. მოსამართლეს გადაწყვეტილებაში მოჰყავს როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო პრაქტიკა. მოსამართლემ ფაქტობრივად მოპასუხე მხარეს არ დაუტოვა გასაჩივრებისთვის არც ერთი არგუმენტი იმდენად სრულყოფილად ისაუბრა ყველა ბუნდოვან საკითხზე.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო მოსამართლის თანაშემწის ქალბატონი ირმა ელიაშვილის მიმართ. ჩემი კომუნიკაცია ქალბატონ ირმასთან იყო ტელეფონით, რომელიც ყოველთვის დროულად, თავაზიანად მპასუხობდა , ყურადღებით მისმენდა, მითმობდა დროს და ყველა კითხვაზე დაუზარელად ამომწურავ პასუხს მცემდა.

არ შემიძლია არ ავღნიშნო კაცელარიის თანამშრომლის მარიამ ონიაშვილის თბილი და გულითადი დამოკიდებულება. კანცელარიაში ძალიან სწორად გაქვთ შერჩეული კადრი, მარიამი მშვიდი, გაწონასწორებული, თავაზიანი და გულისხმიერი ადამიანია. მოქალაქეებთან სწორედ მარიამისნაირი ადამიანი უნდა იყოს ყველა სახელმწიფო უწყებაში. მარიამი ტელეფონში როცა საუბრობს ამაშინაც კი ხმის ტემბრით და თავაზიანობით გავსებს დადებითი ენერგიით.

სწორედ ირმა ელიაშვილის და მარიამ ონიაშვილის ოპერატიული მუშობის გამო საქმე ქარელიდან თბილისის სააპელაციო სასამართლში ერთ კვირაში იქნა გამოგზავნილი მაშინ როდესაც მაქვს მწარე გამოცდილება თბილისის საქალაქო სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის გადაგზავნას თვეები სჭირდებოდა.

ჩემი ასაკიდან გამომდინარე (86 წლის ვარ) მიჭირს გადაადგილება, რომ პირადად ჩამოვიდე, ხელი ჩამოვართვა და მადლობა უთხრა მოსამართლეს, მის თანაშემწეს და კანცელარიის თანამშრომელს. ამიტომ, მადლიერების გამოსახატად ერთადერთი გზა ავირჩიე - მადლიერების წერილის გამოგზავნა.

იმედია ჩემი ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასთან არის ბოლო და სწორედ ამ ხალხის დახმარებით თბილად გამახსენდება.

პატივისცემით,

ივანე მარინაშვილი